კოსმოსური ავტომატიკის ტრიუმფი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ნოემბერი ოთხშაბათი 1970 შაბი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 270 (14874)

„მთვარე, პირველი ფუთები დაჯდომის შემდეგ“ — კოსმონავტი მფრინავის ალექსი ლეონოვის ნახატი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

საკდესის ცნობა

მთვარეზეა საბჭოთა აპარატი „ლუნოხოდ-1“

ავტომატური მკვლევარი მუშაობას შეუდგა



1970 წლის 17 ნოემბერს 6 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით „ლუნა-17“ ავტომატური სადგური რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე წვიმების ზღვის რაიონში.

სადგურის დასაჯდომ საფეხურზე დადგმულია მთვარის თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1“.

პირველად კოსმონავტიკის ისტორიაში მთვარეზე მიტანილია და მეცნიერულ კვლევას შეუდგა მთვარის ავტომატური თვითმავალი აპარატი, რომელსაც დედამიწიდან მართავენ.

მთვარის ზედაპირის გათვალისწინებულ რაიონში სადგურის დაჯდომის უზრუნველსაყოფად 16 ნოემბერს განხორციელდა მანევრირება მთვარისირგვლივ სივრცეში. ამის შედეგად სადგური გადავიდა ელიფსურ ორბიტაზე მთვარის ზედაპირიდან მინიმალური 19 კილომეტრის დაშორებით.

მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან „ლუნა-17“ ავტომატური სადგურის გადასვლისა და მთვარის ზედაპირზე რბილად დაჯდომის ოპერაციები განხორციელდა უნიფიცირებული დასაჯდომი საფეხურის საშუალებით.

დაჯდომის, სადგურის საბორტო სისტემების მუშაობის შემოწმებისა და მთვარის ზედაპირის დათვალიერების შემდეგ დედამიწიდან მიცემული კომანდით 9 საათსა და 28 წუთზე მოსკოვის დროით „ლუნა-17“ სადგურიდან სპეციალური ტრაპით ჩავიდა ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-1“. თვითმავალი აპარატის გადაადგილება მთვარეზე ხორციელდება რვათვლიანი შასის საშუალებით.

„ლუნოხოდ-1“ აპარატსა და დასაჯდომ საფეხურზე მოთავსებულია ალმები და ვიმპელები, რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი და ვ. ი. ლენინის ბარელიეფი.

მთვარის ზედაპირზე დაჯდომის ადგილიდან სხვადასხვა მანძილზე მეცნიერული კვლევის განსახორციელებლად და საექსპლოატაციო მახასიათებლების შესამოწმებლად მთვარემავალი აღჭურვილია მეცნიერული აპარატურით, მართვის, რადიოკავშირგაბმულობისა და სატელევიზიო დაკვირვების ხელსაწყოებითა და სისტემებით.

შესაბამისად საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეთანხმებისა მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის შესწავლასა და ათვისებაში თანამშრომლობის შესახებ მთვარემავალზე დადგმულია ფრანგული ამრეკლავი მთვარის ლაზერული ლოკაციისათვის.

„ლუნოხოდ-1“ დასაჯდომ საფეხურს დასცილდა 20 მეტრ მანძილზე და შეუდგა დაგეგმილი ექსპერიმენტების განხორციელებას.

„ლუნოხოდ-1“ აპარატის მოძრაობის მართვა ხორციელდება შორი კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან. აპარატის მდგომარეობისა და გარემომცველი მთვარის ზედაპირის რელიეფის ხასიათის შესახებ სატელევიზიო ინფორმაციის გამოყენებით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „ლუნოხოდ-1“-ის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

საბჭოთა მეცნიერებამ მიიღო ახალი ეფექტიანი საშუალება, რათა განახორციელოს მთვარის გამოკვლევა ავტომატური აპარატების საშუალებით.

სიტყვას ვაძლევთ მეცნიერებს

კიდევ ერთი გამარჯვება

ჯერ კიდევ არ განელებულა ის შთაბეჭდილება, რაც მთელ მსოფლიოზე მოახდინა მთვარის ავტომატური სადგური „ლუნა-16“-ის მიერ შესანიშნავად შესრულებულმა ოპერაციამ. და აი უკვე მოწმენი გავხდით ახალი დიადი საქმისა, რომელიც „ლუნა-17“ სახელთან არის დაკავშირებული. ეს ურთულესი და ერთობ გაბედული ექსპერიმენტები თანმიმდევრულად და იშვიათი ოსტატობით რომ სრულდება, იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანმა წამოიწყო დიადი შეტევა, ჩვენი მარადიული, ბუნებრივი თანამგზავრი — მთვარის საიდუმლოებათა შემეცნებისაკენ მიმართული.

ამ ორი სადგურის მუშაობის შედეგები ერთიმეორეს ავსებენ და უზრუნველყოფენ მთვარის აგებულების კომპლექსურ შესწავლას. მართლაც, თუ „ლუნა-16“-მა მთვარის ქანის ქიმიური ანალიზი მოგვცა, „ლუნა-17“-მა რთული ცვალებადი ორბიტების გასწვრივ იმოძრავა მთვარის ირგვლივ, რაც ფიზიკური კვლევის სხვა ამოცანებთან ერთად მთვარის სხეულში მასების განაწილების შესწავლის საშუალებას იძლევა. ახლა კი, მთვარეზე დაშვების შემდეგ, მის წინ კიდევ მრავალი სხვა ამოცანაა, რომელიც მთვარის აგებულების შესწავლას ემსახურება. მთვარის ზედაპირის ქიმიური შედგენილობის, მთვარის წიაღის სტრუქტურის, შორეულ წარსულში განვითარებული პროცესების ნაკვალევის გაშუქება, რასაც მთვარისაკენ გაშვებული ავტომატური სადგურები უზრუნველყოფენ, საბოლოო ანგარიშით ხელს უწყობს გამოვიტანოთ დასკვნები მთვარის ისტორიაზე და ევოლუციის თვისებებზე. მაგრამ ამ დასკვნებს ეღოდება აგრეთვე მეცნიერება, რომელიც ჩვენს დედაცთომილს — დედამიწას შეისწავლის.

დედამიწის ქერქის ქიმიურ ევოლუციასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტას არსებითად შეუწყობს ხელს ის ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან მთვარიდან ავტომატური კოსმოსური აპარატები.

მოკლედ რომ ვთქვათ, მთვარის კვლევა განუყრელ კავშირშია დედამიწის აგებულების, დედამიწის ქერქში და ღრმა წიაღში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების, ევოლუციის შესწავლის ამოცანებთან. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ წარმატებული შეტევა მთვარეზე მარტო თავისთავად მთვარისა და დედამიწის შესწავლას კი არ ნიშნავს, არამედ იმასაც მოასწავებს, რომ ახლო მომავალში მთვარე მოგვემსახურება როგორც სამეცნიერო კვლევის მოხერხებული პლატდარმი, საიდანაც უფრო ნაყოფიერად გაგრძელდება ჩვენი პლანეტური სისტემისა და მთელი ვარსკვლავეთის სხეულების შესწავლა.

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

მომავალი — ავტომატებს

ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი — „ლუნა-17“ ავტომატური სადგურის წარმატებით ფრენა და მთვარეზე დაჯდომა მოწმობს, რომ საბჭოთა მეცნიერები ზუსტად და თანმიმდევრულად ასრულებენ კოსმოსური კვლევის დასახულ პროგრამას. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ზედაპირზე უკვე ჯზას კვალავს მსოფლიოში პირველი ავტომატურად მოქმედი და დედამიწიდან მართული მთვარის თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1“!

კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების პრობლემები წყდება თანმიმდევრივ ეტაპზე ორი გზით — პილოტირებული ხომალდებისა და ავტომატური სადგურების გამოყენებით. არსებობს სხვადასხვა აზრი ამ პროგრამებიდან თვითეულის მნიშვნელობის შესახებ, ანლა უკეე საკმაოდ ნათელია, რომ დიდმნიშვნელოვანია ორივე ეს გზა. ავტომატური სადგურების გამოყენებით მეცნიერების მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა უფრო ეკონომიურია, ხოლო მათი ფრენა დაკავშირებული არ არის რისკთან ადამიანისათვის. ამიტომ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ავტომატური სისტემების გამოყენებას კოსმოსური სივრცის კვლევისათვის, ჩემი აზრით, უპირველესი მნიშვნელობა ექნება მომავალში. მეორე მხრივ, ამჟამად ჯერ კიდევ არ არის ისეთი ავტომატები, რომლებიც მთლიანად მეცალიდნენ ადამიანის მუშაობას კოსმოსში. მაშასადამე, იმ შემთხვევებში, როცა დასახული ამოცანების შესრულება შეუძლებელია მასში ადამიანის მონაწილეობის მიუღებლად, აუცილებელი ხდება პილოტირებული ფრენა.

ადამიანის მიერ არაპილოტირებული კოსმოსური აპარატების გამოყენება, ისეთებისა, როგორიც არის, მაგალითად, ავტომატური სადგური „ლუნა-17“, განსაკუთრებით აუცილებელია პლანეტების, მთვარის კვლევისათვის, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე ჯერჯერობით შეუძლებელია შეიქმნას საჭირო პირობები ადამიანის ნორმალური ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

საბჭოთა თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1“ ტრიუმფალური დადასტურებაა საბჭოთა კოსმოსური ავტომატური ტექნიკის უდიდესი შესაძლებლობებისა. მან პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს შეასრულოს საკმაოდ რთული ბევრი ამოცანა.

„ლუნა-17“ ავტომატური სადგურის ფრენა დიდად საინტერესოა. საკდესის მიერ გამოცხადებული მისი ფრენის პროგრამის გარდა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე როგორც მორიგ ექსპერიმენტს მომავლის ავტომატურ პრაქტიკოლი დანიშნულებისათვის, შორი კოსმოსის პლანეტებზე, აგრეთვე იმ პლანეტებზე დაჯდომისათვის, სადაც ადამიანის ყოფნისათვის განსაკუთრებით რთული პირობებია.

საყურადღებოა „ლუნა-17“ ავტომატური სადგურის ფრენისა და დაჯდომის მართვის სიზუსტე, შორეული პლანეტების კვლევისათვის პირველად კოსმონავტიკის ისტორიაში ისეთი თვითმავალი აპარატის მართვა, როგორიც არის საბჭოთა თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-1“. ეს ნიშნავს, რომ ახლო მომავალში გვეხდებით კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა მეცნიერების ახალი თვალსაჩინო წარმატებების მოწმენი.

„ლუნა-17“ სადგურის ფრენამ და მთვარეზე დაჯდომამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ესოდენ რთული კომპლექსის მართვის ავტომატიკის საბჭოთა სისტემები შესანიშნავად დამუშავებულია და კარგად მოქმედებენ კოსმოსის რთულ პირობებში.

ვ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ჟ. ნ. კოსიგინმა მიიღო პაკისტანის ელჩი

17 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში ჯ. კ. ა. მარმერი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან. ა. ნ. კოსიგინმა ღრმა სინანული გამოთქვა პაკისტანის ხალხისა და მთავრობისადმი აღმოსავლეთ პაკისტანში დამანგრეველი წყალდიდობის გამო, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. (საკდესი).

„ტუ-144“ ზებგერითი თვითმფრინავის გამოცდა

1970 წლის 12 ნოემბერს ფრენის გამოცდის პროგრამის შესაბამისად „ტუ-144“ ზებგერითმა სამგზავრო თვითმფრინავმა მიაღწია სასთან 2.430 კილომეტრ სიჩქარეს 16.960 მეტრ სიმაღლეზე. თვითმფრინავის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობდა. თვითმფრინავის გამოცდა გრძელდება. (საკდესი).

შენდება...

პირველი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრდა სუმგაითის ახალ მიკრორაიონში — აზერბაიჯანელ ქიმიკოსთა და მეტალურგთა ცენტრში. სწრაფი ტემპით ვითარდება ქალაქის მრეწველობა, იზრდება მისი მოსახლეობა. ხუთწლედის შანძილზე მოსახლეობის რიცხვი 50 ათასი კაცით გაიზარდა.

სუმგაითის განვითარებაში ვლინდება გარკვეული ტენდენცია: ქალაქი მიიწევს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოსაკენ. ახალი მიკრორაიონი დასაბამს მისცემს დიდ საცხოვრებელ მასივს, რომელის ფართობი ახლანდელი სუმგაითის ნახევარს უდრის. აქ აშენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, პიონერთა სასახლე, დრამატული თეატრი, 1200-ადგილიანი კინოთეატრი. მინისაგან, ბეტონისა და ალუმინისგან აგებული ეს შენობები კიდევ უფრო გალამაზებენ ქალაქს. (საკდესის კორ.).

ელექტრონული გულალტერი

რიაზანის საავტომობილო-საავალიერო მანქანების ქარხანამ ათვისა პირველი საბჭოთა ელექტრონული ბუღალტრების „ისკრა-22“-ს წარმოება. „ისკრას“ შეუძლია დაამუშაოს ყველა საალრიცხვო-საგეგმო დოკუმენტი, აგრეთვე დაადგროვოს და შეინახოს ინფორმაცია. ახლო მანქანებს გამოიყენებენ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებში, სახელმწიფო ბანკებში, საპროექტო და საგეგმო ორგანიზაციებში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებანი.

2. საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, ლაბორატორიებისა და რესპუბლიკის მრეწველობის მართვის დაწესებულებათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომლებმაც უმჯობესად იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ განსაკუთრებული დამსახურება სამრეწველო წარმოების განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებიც მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ განსაკუთრებული დამსახურება სოფლის მეურნეობის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და მეთოდების დანერგვის საქმეში.

4. საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭება მოფურებს, მემანქანეებს, მძღოლებს, მფრინავებს, ავტოსაგზაო, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და აქვთ მნიშვნელოვანი დამსახურება რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარების, გადაზიდვების ორგანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში.

შენიშვნა: სამრეწველო საწარმოების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, მრეწველობის სამართველოების მოსამსახურეთ, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მუშაკებს ზემოაღნიშნულ საპატიო წოდებებზე წარსადგენად უნდა ექნეთ უშუალოდ წარმოებაში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა თუ ტრანსპორტზე მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 10 წლისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. აბაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ნოემბერი.

ჯილდოები სოფლის მონინავეებს

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოება მუშაობის მესამე კვარტალის შედეგებით აღიარებული არიან სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიისა და მშენებლობისა და სამენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე სამმხრივიანს № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ თბილისის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონისა და ზუგდიდის საავტომობილო-ნობათმორთო სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივებს.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს მშენებლობისა და სამენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით № 1 ტრესტის ფალავნის № 16 მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. № 4 ტრესტის ნინრის № 6 მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის არიან ბაქურიანის № 7 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონისა და თბილისის № 1 სპეციალიზებული მექანიზებული კოლონის კოლექტივები. (საკდესი).

მსოფლიო აღფრთოვანებულია

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი თვალსაჩინო მიღწევა

ბონი, 17 ნოემბერი. (საკდესი). საკდესის განყოფილებაში მოვიდა ბოხუმის ობსერვატორიის დირექტორის გ. კამინსკის დეპეშა, რომელშიც იუწყება, რომ ობსერვატორიამ აღნიშნა მთვარის ზედაპირზე „ლუნა-17“ საბჭოთა ავტომატური სადგურის რბილად დაჯდომა. სადგურზე დადგმულმა სატელევიზიო აპარატურამ დაიწყო დედამიწაზე მთვარის ზედაპირის ფოტოსურათების გადმოცემა, ტელეგამოსახულების ხარისხი, წერს კამინსკი, მოწმობს, რომ „წარმატებით დამთავრდა მთვარეზე რბილად დაჯდომა და შემდგომი სამეცნიერო ექსპერიმენტები“.

დასავლეთ გერმანიის დპას საააგენტო, შეწყვეტა ჩვეულებრივი გადაცემები, იუწყება საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალი გამარჯვების შესახებ. დპა ხაზს უსვამს, რომ „პირველად მთვარის ზედაპირზე მოძრაობს მანქანა, რომელიც ადამიანის ხელითაა დამზადებული“. აღნიშნულია, რომ „ლუნოხოდ-1“ აწყობს სამეცნიერო ექსპერიმენტებს.

**პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). „ლუნოხოდ-1“ მუშაობა, რომელიც დღეს სპეციალური ტრაპით ჩამოვიდა „ლუნა-17“ საბჭოთა სადგურიდან და დაიწყო კვლევის პროგრამის შესრულება ჩვენი მარადიული თანამგზავრის ზედაპირზე, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევად მიიჩნია, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა იაროსლავ კო

მსოფლიო დღეს

არჩევნები უცხოეთში

კონგო

ბრაზავილი. 16 ნოემბერი. (საკდესი). კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა პარლამენტის არჩევნები. როგორც კინშასას რადიო იუწყება, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 9.854 ათასმა ამომრჩეველმა. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, მმართველი პარტიის რევოლუციის სახალხო მოძრაობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 98,84 პროცენტმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 72.878 კაცმა, 91.007 ბიულეტენი ბათილად ცნეს.

იაპონია

ტოკიო. 16 ნოემბერი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტის პირველი ომისშემდგომი არჩევნები ოკინავაზე მიმდინარეობდა ამომრჩეველთა უმაღალეთოდ მაღალი აქტივობით — არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 550 ათას რეგისტრირებულ მცხოვრებთა 80 პროცენტზე მეტმა.

დამამჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ოკინავის პროგრესული ძალების წარმომადგენლებმა, რომლებიც არჩევნებში გამოდიოდნენ კუნძულის „დემილიტარიზაციის", ოკინავაზე ამერიკის სამხედრო ბაზების გაუქმების ლოზუნგებით.

ბრაზილია

რიო-დე-ჟანეიროი. 16 ნოემბერი. (საკდესი). კუშინ ბრაზილიაში გაიმართა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების საყოველთაო არჩევნები. საბოლოო შედეგი მხოლოდ ამ კვირის დამლევს იქნება ცნობილი.

ბრაზილიის პრესის აზრით, მოსახლეობამ „ამსოლუტური კეთილგრძნობა გამოიჩინა არჩევნებისადმი".

არჩევნების წინ მთავრობამ განახორციელა უფლებების ფუძაცერული ლიკვიდაციები. ბრაზილიის 60 მუნიციპალიტეტში სარჩევნო უფლების დაკარგეს ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ პირებმა. ბრაზილიის 60 მუნიციპალიტეტში სარჩევნო უფლების დაკარგეს ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ პირებმა. ამ ზომებმა ადგილობრივ ბანდიტებს ხელი ასაღებინა ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ამ ზომებმა ადგილობრივ ბანდიტებს ხელი ასაღებინა ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ეს ზომა ეროვნული ოპოზიციისა ბრაზილიის ეროვნული ოპოზიციისა ბრაზილიის ეროვნული ოპოზიციისა ბრაზილიის

პარტიულ კონფერენციებზე

კომუნისტები ავანგარდში

ვინც მოიყვანს ორ თავთავს იქ, სადაც ადრე ერთი იზრდებოდა, ორ ლერწ ბალახს, სადაც ადრე ერთი იყო, ის მთელი კაცობრიობის მადლობას დაიმსახურებს... ეს სიტყვები გაგვახსენდა, როცა ამასწინათ მცხეთის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დავთვალიერეთ, იქ წარმოდგენილი იყო ყველაფერი, რითაც ამაყობენ აქაური მშრომელები, ადამიანები, რომელთა ნათელ გონებას და გამრჯე მარჯვენას მოქყავს ყველაფერი, რაც საჭიროა ხალისიანობის, თვითეული მათგანი იმსახურებს არა მარტო უბრალო მადლობას, არამედ საყოველთაო სიყვარულს. გამოფენაზე, როგორც საკუნში, ჩანდა, თუ რა საოცრების მოხდენა შეუძლია ადამიანს, როცა მას კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს, გვეამაყება, რომ ამ ადამიანთა ავანგარდში დღანან კომუნისტები, რომელთა რჩეულნი შეიკრიბნენ თავიანთ მორიგ პარტიულ კონფერენციაზე.

პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კაკუთაშვილმა საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე მოკამათეებმა ა. ბურდულმა, ი. ბეგბეიძემ, ვ. ცანავამ, ნ. აბესაძემ, გ. ხუტაშვილმა, ლ. სეთურმა, ა. ხუციშვილმა, ო. აბესაძემ და სხვებმა სიამაყის გრძნობით ჩამოთვალეს ის დიდი წარმატებანი, რასაც რაიონის მშრომელებმა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მიაღწიეს, მრავალმეტყველი ციფრებიდან, რაც კონფერენციაზე მოიყვანეს, ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: 1963 წელს რაიონში იყო 1316 ჰექტარი ვენახი და საშუალოდ იკრიფებოდა 1300 ტონა ყურძენი, ახლა მცხეთელთა ხელგანა გადაბმულია 1700 ჰექტარზე და იკრიფება 8.500 ტონა ყურძენი, თუ ამ ჩაჩვენებლებს ჩავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ გაიხარა და არა მარტო ვენახის ფართობი, არამედ მკვეთრად ამაღლდა ყურძნის მოხავლიანობა.

მცხეთელებმა ვეფაცური სიტყვა თქვეს ხორბლეულის წარმოებაშიც. წლეულს, მაგალითად, რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4 ცენტნერით მეტი ხორბლეული, ვიდრე შარშან, ხოლო საგურამოს კოლმეურნეობაში 257 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე —20,7 ცენტნერი, მიწათმოქმედების საკვლევი ინსტიტუტის 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 27,2 ცენტნერი.

წლეულს რაიონში 1.197 ჰექტარზე გაიჭრა სიმინდი და მოსავალი ჰექტარზე 35 ცენტნერ მარცვალს აღწევს.

ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა ასობით ტონა ყურძენი, ხორცი, რძე, ხილი, მარცვალი. ბოსტნეული, კვერცხი, ბრეშუმის პარკი.

ამას კომენტარი არ სჭირდება, ეს თავისთავად მიტყველებს ადამიანთა დიდ ვგრეგაზე და თავდადებაზე. კონფერენციაზე დიდი პატივისცემით ჩამოთვალეს იმ დელეგატთა გვარები, რომლებიც შრომისადმი კომერსტური დამოკიდებულებით ტონს აძლევენ დანარჩენებს. ესენი იყვნენ სოციალისტური შრომის გმირი ფ. სოხაშვილი, გ. ბულაცაშვილი, ს. მოძღვრიშვილი, ა. კუსრაშვილი, ბ. მზარეულაშვილი, ა. თოდუაშვილი, ნ. აფციაური, ო. მიდელაშვილი და სხვები. ისინი მზად არიან მომავალშიც იყვნენ შრომის ავანგარდში და ჯერ-ჯერობით ამრავლონ დოვლათი.

ბევრი ითქვა გამოუყენებელ რეზერვებზე, ერთი მაგალითი; მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა დელეგატმა მ. დალაქიშვილმა განაცხადა: — ნატახტარის სახეობათა მეურნეობაში, ნ. ჰექტარ ფართობზე, რაფსის ნათესიდან დეკემბერში საშუალოდ ჰექტარზე 280 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს, რომლის ღირებულება 1.008 მანეთს შეადგენს, ხოლო მის მოყვანაზე დახარჯული თანხა 282 მანეთს. გარდა ამისა, გაძოვების შემდეგ, რაფსი კიდევ წამოიზარდა, და მაისის დამლევს 21 ცენტნერი მასა გაითიბა. საბოლოდ მეურნეობამ მიიღო 3.772 მანეთი ნამეტი. ეს მხოლოდ 5 ჰექტარზე! რა იქნებოდა, ასეთ კულტურის ყველა კოლმეურნეობაში რომ თესავდნენ!

კონფერენციაზე დაბეჭდილებით თქვეს: — პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით რაიონის მშრომელთა წარმატებით შეასრულებენ ქართველი ხალხის საუფლო თარიღებისათვის ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობის დელეგატები.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიულ ქრონიკა

იუბილეს მიეძღვნა

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). აქ გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დაარსებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორებმა — პროფ. გ. ბეგბეგმემ, დოცენტებმა დ. მელაძემ, ი. გოგაბაშვილმა, ნ. ბეგიშვილმა, ნ. ბეგბეგიშვილმა განაცხადა: — ნატახტარის საბჭოთა მეურნეობაში, ნ. ჰექტარ ფართობზე, ერთი ბარმსტულ-ლენინური ფორმაციისა და თანამედროვეობა“, „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“, „კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელება“ და „საქართველო დიდ სამამულო ომში“.

„საქართველოს აგიტატორი“ №22

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, ოცდამეორე ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — სკკპ XXIV ყრილობას — დიდსული შეხვედრა; **შ. თეთვაძე** — სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა; **ლ. სტეპანიანი** — გ. ნახლებული სომხეთი; **ა. მენაბდე** — საბჭოთა კონსტიტუცია; სასიმღერო თემატიკა ლექციებში, მოხსენებებისა და სატარებისა სკკპ მომავალ XXIV ყრილობასთან დაკავშირებით; **ნ. ლორთქიფანიძე** — რუ თაველ მშენებლებთან; **ბ. იაშვილი** — აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები აგიტატორთა საქმიანობაში; **პატრიოტული აღზრდა**: **მ. ყურავკოვი** — კომუნისტური ზნეობის უმაღლესი პრინციპი; ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება — და სხვა მასალები.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ!

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, მეკუთვნის თუ არა მომვლელისათვის პენსიის დანიშვნა?

ბ. ბურდულაძისა,
თბილისი.

პასუხი: პირველი ჯგუფის ინვალიდებს (ინვალიდობის მიზეზის მიუხედავად) პენსიის დანიშვნისას დაერიცხებათ მომვლელისათვის პენსიის 15 პროცენტი.

შეკითხვა: მუშებს შეუძლიათ თუ არა მიიღონ მობუცებულობის პენსია სრული ოდენობით?

ი. მეგელიძე,
ზესტაფონი.

პასუხი: მუშებს, უმცროს მოსამსახურე პერსონალსა და ოსტატებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს ჩათვლით. მუშაობის ადგილის მიუხედავად მობუცებულობის პენსია ეძლევათ სრული ოდენობით. ამასთან პენსიისა და ხელფასის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს თვეში, თუ პენსიისა და ხელფასის საერთო ჯამი აღემატება 300 მანეთს თვეში, მაშინ შესაბამისად შემცირდება კასიერი პენსიის ოდენობა.

შეკითხვა: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სეზონურად მუშაობენ, ეკუთვნით თუ არა შვებულება და რა ხანგრძლივობით?

ე. გოგორნინიძე,
მახარაძე.

პასუხი: სეზონურ სამუშაოებზე (სეზონი არ შეიძლება აღემატებოდეს იქვე თვეს) დასაქმებული მუშები და მოსამსახურეები შვებულების ან სათანადო კომპენსაციის მიღების უფლებით არ სარგებლობენ.

შეკითხვა: მოკალაქეს, რომელსაც აქვს ერთი საცხოვრებელი სახლი პირადი საკუთრების უფლებით „შეუძლია თუ არა მეორე სახლი მიიღოს მემკვიდრეობის წესით და შემდგომ გაიჩუქოს?

მ. ნოზაძე,
ლაგოდეხი.

პასუხი: იმ პირს, რომელსაც აქვს ერთი სახლი პირადი საკუთრების უფლებით, შეუძლია მეორე სახლი მიიღოს მემკვიდრეობის წესით. ამასთან ასეთ შემთხვევაში მესაკუთრემ თავისი ნებასურვილის მიხედვით ერთ-ერთი სახლი უნდა გაყიდოს ან გაიჩუქოს ერთი წლის განმავლობაში მემკვიდრეობის წესით მიღებულ სახლზე საკუთრების უფლების წარმოშობის დღიდან.

თუ მესაკუთრე ერთი წლის განმავლობაში არ გაასხვისებს სახლს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სახლი იქნებოდა უნდა გაიყიდოს. იმ წესით, რაც დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის. გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით გადაეცემა სახლის ყოფილ მესაკუთრეს.

იმ შემთხვევაში, თუ სახლის იძულებითი გაყიდვა არ მოხდა მყიდველის აღმოჩენილობის გამო, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სახლი ფასაყიდლოდ გადადის სახელმწიფო საკუთრებად.

საბჭოთა მთვარემავალს პირველი ტრასა გაჰყავს

საქართველოს მეცნიერული კომენტარი

ერთიანული

ბ. ...

მთელი პლანეტის ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ჩვენი პლანეტის ბუნებრივი თანამგზავრის — მთვარისადმი. 10 ნოემბერს გამოვიდოდა „ლუნა-17“ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა დღეს მთვარის ზედაპირზე მიიტანა მოძრავი ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-1“, რომელიც შეიდგა მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის თანთა პროგრამის შესრულებას.

ერთასწლინელი სამი თვის განმავლობაში საბჭოთა მეცნიერები ანორეიტებენ ოცი მისამი კოსმოსური ექსპერიმენტ ავტომატური აპარატებით მთვარის შესწავლის დარგში. მათი პროგრამა, როგორც ყოველთვის, ვრცელი და მრავალფეროვანია. მართლაც, სექტემბრის დამლევს „ლუნა-16“ სადგურმა დედამიწაზე ჩამოიტანა მთვარის გრუნტის ნიმუშები, ერთი თვის შემდეგ „ზონდ-8“ ავტომატურმა სადგურმა შემოუარა ჩვენს ციურ მეზობელს და დედამიწაზე დაბრუნდა მეცნიერული კვლევის მასალებითა და მთვარისა და დედამიწის ფოტოსურათებით და, ბოლოს, ახლა „ლუნა-17“ სადგურმა მსოფლიო კოსმონავტიკის პრაქტიკაში პირველად გადაიტანა დედამიწიდან მთვარეზე მოძრავი სამეცნიერო ლაბორატორია.

ფრინა მთვარისაკენ, როგორც ცნობილია, შესაძლებელია გარკვეულ ასტრონომიულ ვადებში, რომლებსაც ზმირად მეცნიერულ ენაზე „მთვარის ფანჯრებს“ უწოდებენ. საქმე ის არის, რომ მთვარის ორბიტის სიბრტყე დედამიწის ეკვატორის სიბრტყისადმი დახრილია გარკვეული კუთხით, რომელიც იცვლება ბლუს 18 გრადუსიდან მინუს 18 გრადუსამდე. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ენერგეტიკულად ხელსაყრელია განხორციელდეს კოსმოსური ობიექტების გაშვება მაშინ, როცა მთვარე თავისი ორბიტის წერტილის ახლოს მინიმალური დაზრილობით იმყოფება. ამ შემთხვევაში კუთხე, რომელსაც ქმნის მთვარისაკენ დედამიწის ეკვატორის მიმართული ციურ ორბიტის სიბრტყისადმი, შეადგენს მინუს 18 გრადუსს, **რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მთვარისაკენ რაც შეიძლება მეტი სასარგებლო ტვირთის გაგზავნა.** დედამიწისა და მთვარის ასეთი ურთიერთმიმართება ყოველთვიურად მეორდება. ამგვარად, საბჭოთა მეცნიერებმა მთლიანად გამოიანგარიშეს სამთვიანი ერთანმანილი ხელსაყრელი შესაძლებლობა მთვარისაკენ კოსმოსური აპარატების გასაგზავნად. ამ თვალსაზრისით ოქტომბერი სამ თვეს ეხებოდა ამოძრავლვათა სწორეთ რეგმენტი და შესაძლებლობანი და მათ სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა კოსმოსური პროგრამის საუბრად „მთვარის ვარიანტი“.

„ლუნა-17“ სადგურის ფრინა მოასწავებს თვისებრივად ახალი ეტაპის დასაბამს მთვარის გამოკვლევაში — მის შესწავლას მოძრავი კოსმოსური საშალებებით და წარმოადგენს ორსიბით წელიწადს მსოფლიო კოსმონავტიკის შემდგომი განვითარების სამეში. მთვარის შესასწავლად მოძრავი ავტომატური მოწყობილობების — მთვარემავლების გამოყენება პრინციპულად ეფექტურებს შესაძლო კვლევის რაიონებს, მნიშვნელოვანად ზრდის, მეცნიერული ინფორმაციის მოცულობას და საშუალებას იძლევა მიღებული მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერების ახალი მეთოდები.

ავტომატური მთვარემავლების შესაძლებლობანი და ეფექტიანობა ჭეშმარიტად დიდია. ბსინი საშუალებას იძლევიან შესრულდეს სულ სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკურ ამოცანათა თანთა კომპლექსი მთვარის ზედაპირზე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. ულნაბრის ყოველნი უნდა აღინიშნოს მთვარის გრუნტის გამოკვლევა. მთვარემავლეს შეიძლება დაედგას სულ სხვადასხვანაირი ხელსაყოფილი გრუნტის ზედაპირული და ეფერი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლ

საყოველთაო ინტერესი

ქართველი მეცნიერები ფსიქიატრთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე

ადამიერ ფორუმზე გასაკუთრებული უურადღება მიიპყრო აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის ორიგინალურმა შემოქმედებითმა პოზიციებმა ფიზიოფრენიული დაავადების, ძირითადი აფექტების ბიოლოგიურ ფუძეებზე. ინტერესი, რომელიც გამოიწვია ქართველ მეცნიერთა— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მ. მესტიაშვილის, დოცენტ ფ. კონტრიძის და უფროსი მეცნიერი მუშაკის ს. ფულაძის მოხსენებამ. მათი მოხსენება ეხებოდა ფიზიოფრენიის კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიური და ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური შესწავლის საკითხებს. აღნიშნულ ავტორებს ფიზიოფრენიის კლინიკური ფორმები განხილული აქვთ პათოპერსონოლოგიურ ჭრილში, ხოლო კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიური და ექსპერიმენტული მასალისათვის ანალიზი გაკეთებული აქვთ ეკოლუციურ-ასაკობრივი ნიშნით.

ფიზიოფრენიის ბიოლოგიის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა პროფ. მ. ვართანიანის (საბჭოთა კავშირი), პროფ. ე. სლეიტერის (ინგლისი), ხ. ბეკის (ამერიკის შეერთებული შტატები), პროფ. ი. ფახმატოვა-კავდოვას (საბჭოთა კავშირი), პროფ. ი. ალა-ნენის (ფინეთი), პროფ. ხ. უტენის, პროფ. ი. მარინაშს (იაპონია), პროფ. ბ. ფერსის (კანადა) და სხვათა მოხსენებები.

პროფესორმა ბ. ნანეიშვილმა თავისი საინტერესო მოხსენება მიუძღვნა ფიზიოფრენიით დაავადებულთა თავის ტვინის სტრუქტურის და ულტრასტრუქტურის შესწავლის აქტუალურ საკითხებს. ამასთან ერთად წარმოდგენილ იქნა ცხოველებზე ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებიც. სექციური და ექსპერიმენტული მასალის დაპირისპირების შედეგად მიღებულმა მონაცემებმა პროფესორ ბ. ნანეიშვილს საშუალება მისცა დაედასტურებინა აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის მიერ თავის დროზე წამოყენებული დებულება ფიზიოფრენიის დროს სინაპსური აპარატის უპირველესი დაზიანების შესახებ.

პროფესორ ა. სიხარულიძის მოხსენებაში გამოყენებულ იქნა ფიზიოფრენიით დაავადებულთა სისხლის პლაზმის ცხოველთა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების ელექტრომენტულ შესწავლის შედეგები და ნაჩვენები იქნა ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტრული უბნების დაინტერესება.

მოელმა რიგმა გამოჩენილმა უცხოელმა მეცნიერებმა — შ. ჯენენმა, ბ. პერიმ, რ. ფონ ბაუერმა და სხვებმა ქართველ მეცნიერებს შესთავაზეს ფიზიოფრენიის ბიოლოგიისა და კლინიკის საპრობლემო საკითხების ერთობლივი შესწავლა.

სიმპოზიუმის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდნენ ავრეთვე პროფ. ა. მაკარიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. ბეგიაშვილი, შ. გამყრელიძე, გ. აბულაშვილი, ა. მამარდაშვილი, გ. შარაშიძე, ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტი რ. ჯღარკავა.

მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქვა მომავალი სიმპოზიუმი გაიმართოს 1972 წელს თბილისში.

მ. მესტიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

...

ეროვნული ...

ბ. ...

ბოლოს სასტუმროში [illegible] ფინსადმი მიღებული მოთხოვნა [illegible] ზედაპირის [illegible] ... ბევრი, ძალიან ბევრი სხვა რამ.

ჩვენი პლანეტის, თანამგზავრის ზედაპირზე პირველი ავტომატური მთვარემავლის მუშაობა — ეს არის ამ აპარატის შემუშავებასა და შექმნასთან დაკავშირებული დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის წარმატებით გადაჭრა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთვარემავლის ტიპი და კონსტრუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ბევრ სპეციფიკურ მოთხოვნას, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან დედამიწის მანქანებისადმი წაყენებული მოთხოვნებისაგან. მთვარემავლის შემუშავების პროცესში საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს მრავალი თვალსაზრისი და მოთხოვნა. მოკლედ მოგითხრობთ ზოგიერთ მათგანზე.

ერთ-ერთი თავადი იყო მთვარემავლის წონისა და მოცულობის ეკონომია იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი დადგმა და განლაგება გამოყენებული სარაკეტო სისტემის კოსმოსურ აპარატზე. სავსებით გასაგებია, თუ რა მკაცრ შეზღუდვებს უყენებდა ეს პირობა მთვარემავლის [illegible] ... ბორტო სისტემებსა [illegible] ... ზედაპირზე [illegible] ... ბევრ [illegible] ... ბევრ [illegible] ... ბევრ

კომუნისტი
სპორტი

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ვენა. (საკუთარი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ნიკოზიიდან ვენაში ჩამოვიდა. დღეს ავსტრიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩვენი ფეხბურთელები ამხანაგური მატჩში შეხვდებიან ავსტრიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბს — ვენის „რაპ